ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5725627

ნომერი: AR1866473

თარიღი : 07.12.2021

გაცემის თარიღი : 14.12.2021

გაცნობის თარიღი : 17.12.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩა, N 26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ კუჭავა პ/ნ 01010008127
- თბილისი, ნუცუბიძის პლატო, 3-ე მკრნ, 3 კვ. 10-ე კ. ბ.29

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3721935
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 12.12.2017

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან ჯამაგიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ე.ს. ამხანაგობა "მთაწმინდა რეზიდენსი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205333469
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ კუჭავა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010008127

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2009.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1294.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5050.26
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3166.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 904.15
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 368.18
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 611.13
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 15052.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7822.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 7230.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 36.45
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 20.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 15.55
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1083,92/1991.1=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3072.57/1991.1=1.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 678.55/1991.1=0.3

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4220846
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.10.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრეონულად ატვირთული 2021 წლის 07 დეკემბრის AR1866473 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოლომონ ზალდასტანიშვილის ქ. N26-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის შეთანხმების საკითხს.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე’’ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N38, 13.12.2021წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წრმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1...საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: წარმოდგენილი იქნეს ორგანიზაციის ბეჭდითა და სპეციალისტის ხელმოწერით დამოწმებული ტოპოგეგმა;

2..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: არ არის წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები ერთიანი ხედებით; იმ შემთხვევაში, თუ კორექტიბით გათვალისიწნებული სამუშაოები უკვე განხორციელებულია, წარმოდგენილი იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული აქტი და შესაბამისი ჯარიმის გადახდის ქვითარი;

3. ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაზუსტდეს საერთო ფართობი და შევსებული იქნეს სარდაფის ფართის მაჩვენებელი;

4.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: ტექსტური ნაწილი და ცხრილები შედგენილი იქნეს კორექტირებული პროექტის შესაბამისად;

5.კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : დამატებით წარმოდგენილ იქნას საპროექტო და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის ფასადების ესკიზური განშლები (მომიჯნავე შენობების ფასადები შესაძლებელია დატანილ იქნას მხოლოდ კონტურების სახით) , რომელზეც დატანილი იქნება აბსოლიტური ნიშნულები როგორც ყველაზე დაბალ, ასევე ყველაზე მაღალ წერტილებში;

6..საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : წარმოდგენილი იქნეს კორექტირებული პროექტი;

7. არ არის წარმოდგენილი კონსტრუქციული დასკვნა უკვე განხორციელებული სამუშაოებისა და კორექტირების შესახებ; ასევე დასკვნა მომიჯნავე შენობების დღეის მდგომარეობის ასახვითა და სამშნებელო სამუშაოების შესძლო ზეგავლენის შეფასებით;

8..არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : მითითებული იქნეს № 5297177;

9.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : მითითებული იქნეს 19/02/2021;

10. III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: წარმოდგენილი იქნეს საექსპერტო შეფასება კორექტირებასთან დაკავშირებით შესაბამისი დასაბუთებით.

11. წარმოდგენილ პროექტში შტამპებზე მითითებულია თანაავტორები, თუმცა შესაბამის ველში - არ არის მითითებული; აღნიშნული მოვიდეს ურთიერთშესაბამისობაში. თანაავტორის ველიც შეივსოს ან პროექტში შტამპებიდან ამოიშალოს და წარმოდგენილ იქნეს თანაავტორების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობები.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.